
თავი - 19

მოგების გადასახადის აღრიცხვა

მინარები

- ❖ მოგების გადასახადის აღრიცხვა;
- ❖ მოკლე აზნა განმარტებები.

19 . 1 . მოგების გადასახადის აღრიცხვა

ნებისმიერი საწარმოს ფუნქციონირების ძირითადი მიზანია რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღება. ამიტომ საწარმოს საქმიანობის შედეგების შესაფასებლად ხშირად იყენებენ მოგების მაჩვენებელს. მოგება განისაზღვრება ორი ელემენტით:

- საწარმოს საერთო შემოსავლებითა; და
- საერთო ხარჯებით.

საანგარიშგებო პერიოდში შემოსავლებისა და ხარჯების ყველა აღიარებული მუხლი უნდა აისახოს მოცემული პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის გაანგარიშებაში. საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს (ყველა მათგანი უნდა აისახოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში):

➤ საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგება ან ზარალი;
მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შეიძლება ნაჩვენები იყოს:

- საერთო (ბრუტო) მოგება;
- ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული დაუბეგრავი მოგება;
- ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული მოგება დაბეგვრის შემდგომ; და
- წმინდა (ნეტო) მოგება.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საწარმოს მიერ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამომუშავებული მოგების ასეთი სახით ასახვას გააჩნია განსხვავებული საინფორმაციო დატვირთვა. კერძოდ, საწარმოს ხელმძღვანელობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასაბეგრი მოგების სწორ გაანგარიშებას, მოგების გადასახადის (შემოსავლებიდან გადასახადების) ზუსტად დარიცხვასა და საწარმოს კუთვნილი წმინდა მოგების დადგენას.

დასკვნითი გატარებები

ხარჯებისა და შემოსავლების ანგარიშები
შემთხვევაში: 6000; 7000; 8000 და 9000 სექციებიდან

ანგარიშის დახურვა

საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი
(ანგარიში 5330)

წმინდა მოგების ან ზარალის გადატანა 5310 ან 5320 ანგარიშებზე

გაუნაწილებელი მოგება - 5310
ან
დაუფარავი ზარალი - 5320

საილუსტრაციო მაგალითი:

20X2 წელს - საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ადგილი პქონდა საწარმოში შემდეგ ხარჯებს:

- 1) მასალების შესაძენად დაიხარჯა 10.000 ლარი $7110 - 10.000$;
- 2) მუშა-მომსახურებს გადაუხადეს 15.000 ლარი $7120 - 15.000$;
- 3) მანქანა-დანადგვარების ამორტიზაციამ შეადგინა 2.000 ლარი $7170 - 2.000$;
- 4) ოფისის გარემონტებაზე დაიხარჯა 7.000 ლარი $7440 - 7.000$;
- 5) აუდიტორულ მომსახურებაზე გადახდილ იქნა 3.000 ლარი $7450 - 3.000$.
- 6) საპროცენტო ხარჯებმა შეადგინა – 2.000 ლარი $8210 - 2.000$.

ამასთან აღნიშნულ წერტილი:

- ა) პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული იქნა 50.000 ლარის შემოსავლები $6110 - 50.000$;
- ბ) მივიღეთ შემოსავლები დივიდენდებიდან $8120 - 5.000$ ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ეს დროებითი ანგარიშები უნდა დავხუროთ და ვანდებთ შემდეგ გატარებებს:

- 1) დ. **6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“** – 50.000 ლარი
 დ. **8120 „დივიდენდები“** – 5.000 ლარი
 კ. **5330 „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი“** – 55.000 ლარი
- 2) დ. **5330 „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი“** – 39.000 ლარი
 კ. **7110 „მირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა – 10.000** ლარი
 კ. **7120 „პირდაპირი წელფასი“** – 15.000 ლარი
 კ. **7170 „ცვეთა და ამორტიზაცია“** – 2.000 ლარი
 კ. **7440 „რემონტი“** – 7.000 ლარი
 კ. **7450 „საკონსულტაციო ხარჯი“** – 3.000 ლარი
 კ. **8210 „საპროცენტო ხარჯი“** – 2.000 ლარი

დაგუშვათ, საანგარიშგებო პერიოდში საწარმო იხდის მოგების გადასახადს 2400 ლარს.

- 3) მოგების გადასახადის ხარჯის გატარება:

- დ. **9210 „მოგების გადასახადის ხარჯი“** – 2.400 ლარი
 კ. **3310 „გადასახდელი მოგების გადასახადი“** – 2.400 ლარი

- 4) მოგების ხარჯის დახურვა:

- დ. **5330 „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი“** – 2.400 ლარი
 კ. **9210 „მოგების გადასახადის ხარჯი“** – 2.400 ლარი

- 5) მიმდინარე წლის წმინდა მოგების დახურვა:

- დ. **5330 „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი“** – 13.600 ლარი
 კ. **5310 „გაუნაწილებელი მოგება“** – 13.600 ლარი

მოგება—ზარალის ანგარიშება

შემოსავლები	<i>50.000</i>
რაღო ზებული პროდ. თვითდირებულება	<i>(27.000)</i>
მოლიანი მოგება:	<u>23.000</u>

საოპერაციო ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	<i>(10.000)</i>
მოლიანი საოპერაციო მოგება:	<u>13.000</u>

არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები

დივიდენდებიდან მიღებ. შემოსავლები	<i>5.000</i>
სესხე გადახდილი პროცენტი	<i>(2.000)</i>
მოლიანი არასაოპ. შემოსავალი და ხარჯები	<u>3.000</u>
მოგება დაბუვვამდე ჩვეულებრივი საქ.	<i>16.000</i>
მოგების გადასახადი	<i>(2.400)</i>
წმინდა მოგება	<u>13.600</u>

პას 12 „მოგების გადასახადი“-ს მიხდვით:

საწარმომ ფინანსურ ანგარიშებაში უნდა ასახოს შემდეგი ინფორმაცია:

- მიმდინარე საგადასახადო ხარჯი (შემოსავალი);
- მიმდინარე საგადასახადო პერიოდში აღიარებული, წინა საანგარიშგებო პერიოდების მიმდინარე გადასახდების ნებისმიერი კორექტირება;
- საგადასახადო ხარჯის (შემოსავლის) თანხა, რომელიც უკავშირდება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებს და შეცდომებს და ბასს 8-ით გათვალისწინებულია მათი ჩართვა მოგებაში ან ზარალში, რადგან შეუძლებელია მათი რეტროსპექტულად ასახვა.